


სამოტივაციო წერილი

საქართველოს ტელერადიომაუწყებლობაში თითქმის ოცი წელი ვიმუშავე, მქონდა სატელევიზიო და რადიოპროგრამა „ირაო“, იყო სხვაც, ვურთიერთობდი ქართულ ტელევიზიასთან. განსაკუთრებული დამოკიდებულება გამაჩნია, შეიძლება ითქვას ვცხოვრობდით ტელერადიომაუწყებლობაში, ვიცნობ აქაურობას და მაუწყებლის სასიკეთოდ დიდი ხანია არაერთი სიახლის დანერგვა მაქვს გეგმაში. მინდა მაუწყებელი იყოს კარგი, ჩვენ შევძლებთ მაუწყებელი საუკეთესო გავხადოთ.

მაუწყებელი ცოცხალი ორგანიზმით არის და უნდა ვითარდებოდეს, ამის შესაძლებლობა მას ყოველთვის ჰქონდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერი მოსახლეობის კეთილი, ხალისიანი და შემეცნებითი მეგზური უნდა გახდეს. მისი ხასიათი უნდა იყოს ქართული შემოქმედებითი, ჯანსაღი, შინაარსიანი.

თუ ჩემი კანდიდატურა მისაღები იქნება სამეურვეო საბჭოსთვის, ვიმედოვნებ რომ მხარდაჭერით, საზოგადოებრივი მაუწყებელი მოკლე დროში საუკეთესოდ წარმოადგება.

რ. შალიბაშვილი



04.09.2020